



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 395/ს
10/10/2022

395-21-4-202210101259



გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ნიკორას“ (ს/კ 400132183) მიერ წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2021 წლის 31 მარტს შპს „ნიკორას“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შესაბამისად განსაზღვრული იქნა გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა N49; 04.10.2021/ ბრძანება N2-1492; 22/10/2021).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების გათვალისწინებით სააგენტოს 2022 წლის 17 აგვისტოს N21/4521 წერილის საფუძველზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ნიკორას“ დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ნიკორას“ მიერ წარმოდგენილი იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N4529; 02.09.2022). კერძოდ: ფერფლისთვის (ნაცრისთვის) ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებისა და მისი ტერიტორიიდან გატანის (საპროექტო ტერიტორიაზე დროებითი

განთავსება) პერიოდულობის, საწარმოს სამუშაო რეჟიმის, საწარმოში ალუმინის შემცველი ნარჩენების ინსინერაციის საკითხის შესახებ ინფორმაცია და სხვა.

დოკუმენტაციაში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, ასევე განხილულია ტექნოლოგიური ალტერნატივები და არაქმედების ალტერნატივა. გზშ-ის ანგარიშში განხილულ იქნა 3 ალტერნატიული ლოკაცია, რომლებიც მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, მდინარე ლოჭინის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ. სამივე ალტერნატიული ტერიტორია წარმოადგენს სს ნიკორას საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (ს/კ 81.07.00.045; 81.10.39.636 და 81.07.00.043). დოკუმენტის შესაბამისად ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის, მათ შორის გარემოსდაცვითი, ეკონომიური და სოციალური საკითხების (მოსახლეობიდან დაშორება და უახლოეს საწარმო ობიექტამდე (შპს „ჩირინა“) მანძილი) გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მესამე მიწის ნაკვეთს (ს/კ 81.07.00.043). გარდა ამისა, შერჩეულ მიწის ნაკვეთზე არსებობს კაპიტალური შენობა, რომელიც ვარგისია საწარმოო მიზნით გამოსაყენებლად. შესაბამისად, შერჩეულ ტერიტორიაზე საჭირო სამშენებლო სამუშაოები მცირე მოცულობისაა და ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ნიკორას“ (ს.კ 400132183) დაგეგმილი აქვს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში ინსინერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია სს „ნიკორას“ (ს.კ 200050675) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 26401 მ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.07.00.043), რომლითაც შპს „ნიკორას“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხუთი შენობა-ნაგებობა, საიდანაც სამი განკუთვნილი იყო ყოფილი საღორე მეურნეობისთვის (ამჟამად არ ფუნქციონირებს), ერთი ხორცის საწარმოსათვის და ერთი - 150 მ² ფართობის მქონე შენობა-ნაგებობა, სადაც დაგეგმილია ინსინერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია. საწარმოს განთავსების GPS კოორდინატებია: 1. X-500079, Y-4614286; 2. X-500098, Y-4614279; 3. X-500088, Y-4614253; 4. X-500069, Y-4614261. საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრში მდებარეობს შპს „ჩირინას“ საწარმოო ობიექტი. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ლოჭინი) დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი - 656 მეტრით.

საწარმოსთვის განკუთვნილ შენობაში წარმოდგენილია წყალგაუმტარი ფილებით მოპირკეთებული სამი სათავსო. აღნიშნული სათავსოები გამოყენებული იქნება ობიექტზე ინსინერაციის მიზნით შემოტანილი ნარჩენების და ინსინერაციის პროცესის დასრულების შემდგომ წარმოქმნილი ნაცრის დროებითი განთავსებისთვის. შენობა უზრუნველყოფილია წყლით, სველი წერტილებით, შიდა საკანალიზაციო ქსელით, ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით. ინსინერატორის პარამეტრების გათვალისწინებით, შენობა საჭიროებს გაფართოებას, კერძოდ: შენობის მარჯვენა მხარეს, გათვალისწინებულია მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობა, რომლის ფართობი იქნება დაახლოებით 35-40 მ². აღნიშნული მსუბუქი კონსტრუქციის მოსაწყობად საჭიროა

მიშენების ძირის მოწყობა-მოხეტონება, კარკასის (ჩარჩო) აწყობა და მასზე პანელების დამაგრება. კონსტრუქციის კარკასი შესაძლებელია მოეწყოს ქანჩებისა და ჭანჭიკების გამოყენებით ან შედუღებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს ხანგრძლივ და ფართო მასშტაბიან სამშენებლო სამუშაოებს. კერძოდ, კონსტრუქციის მოწყობის პროცესში გამოყენებული იქნება ერთი სატვირთო ავტომანქანა და მცირე წარმადობის ექსკავატორი, ხოლო სამუშაოების შესრულების ხანგრძლივობა იქნება არაუმეტეს ერთი თვისა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია კომპანიის ქსელში (შპს „ნიკორა“, შპს „ოკეანე“, შპს „კულინარი“, შპს „პარტნიორი“, სს „ნიკორა ტრეიდი“ და სს „ნიკორას“ სხვა შვილობილი კომპანიები) წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია (კოდით D10), რომელთა წლიური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 550-600 ტონას. საწარმოში დაგეგმილია შემდეგი ნარჩენების ინსინერაცია, რომლებიც განისაზღვრება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად, კოდებით: 02 02 - ნარჩენები ხორცის, თევზისა და სხვა ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების მომზადებისა და დამუშავებიდან (კერძოდ: 02 02 02 - ცხოველური ქსოვილების ნარჩენები; 02 02 03-დამუშავებისა და გამოყენებისთვის გამოუსადეგარი მასალები; 02 02 04 - ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდეგ მიღებული ლექი); 02 03 - ხილის, ბოსტნეულის, მარცვლოვანი კულტურების, საკვები ცხიმების, კაკაოს, ყავის და თამბაქოს მომზადებისა და დამუშავების ნარჩენები; საკონსერვო წარმოების ნარჩენები; საფუარისა და საფუარის ექსტრაქტის წარმოება, მელასას მომზადება და ფერმენტაცია (კერძოდ: 02 03 01 - რეცხვის, გასუფთავების, გათლის (კანის მოცილების), ცენტრიფუგირებისა და განცალკევების შედეგად მიღებული ლექი; 02 03 04 - დამუშავებისა და მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მასალები; 02 03 05 - ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდეგ მიღებული ლექი); 02 05 - რძის პროდუქტების წარმოების ნარჩენები (კერძოდ: 02 05 01 - დამუშავებისა და მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მასალები; 02 05 02 - ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდეგ მიღებული ლექი); 02 06 - საცხობი და საკონდიტრო წარმოების ნარჩენები (კერძოდ: 02 06 01 - დამუშავებისა და მოხმარებისთვის გამოუსადეგარი მასალები; 02 06 02 - კონსერვირებისათვის საჭირო საშუალებების ნარჩენები; 02 06 03 - ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდეგ მიღებული ლექი); 08 03 17* - პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს; 19 01 06* - წყალშემცველი თხევადი ნარჩენები აირების გადამუშავებიდან და სხვა წყალშემცველი თხევადი ნარჩენები; 20 01 27* - საღებავები, მელნები, წებოვანი და რეზინის, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს; 20 01 29* - სარეცხი/საწმენდი საშუალებები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს; 20 01 30 - სარეცხი/საწმენდი საშუალებები, გარდა 20 01 29 პუნქტით გათვალისწინებულთ; 20 01 99 - ნარჩენები, რომლებიც არ არის განსაზღვრული აღნიშნულ კატეგორიაში; 15 01 10*- შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით; 15 02 02* - აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია

სახიფათო ნივთირებებით. გარდა ამისა, წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში არ ითვალისწინებდა პლასტმასისა და ლითონის შესაფუთი მასალების ინსინერაციას, თუმცა კომპანიის მიერ 2022 წლის 2 სექტემბრის N4529 წერილით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საწარმოში ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების ჩამონათვალში დამატებულია შემდეგი კოდები: 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა; 15 01 04 - ლითონის შესაფუთი მასალა. ვინაიდან, კოდები (15 01 02; 15 01 04) ითვალისწინებს მხოლოდ შესაფუთ მასალას და არა შეფუთულ პროდუქციას, ამასთან აღნიშნული ნარჩენები ექვემდებარება რეციკლირებას, მათი ინსინერაცია მიზანშეწონილი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების საწარმოში შემოტანა დაგეგმილია ყოველდღიურად, კომპანია „ნიკორას“ სავაჭრო და საწარმოო ობიექტებიდან, კომპანიის საკუთრებაში არსებული სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. დღის განმავლობაში განხორციელდება 3-4 სატრანსპორტო ოპერაცია. დოკუმენტაციის თანახმად, ქ. თბილისიდან საწარმოში ნარჩენების შეტანა მოხდება კახეთის გზატკეცილიდან და შემდგომ სოფ. გამარჯვებაში მიმავალი გზის გამოყენებით. ხოლო კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებიდან ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება კახეთის გზატკეცილი და ქ. თბილისის შემოვლითი, შემდეგ კი სოფ. გამარჯვებას გზა. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს საწარმოში ნარჩენების შემოტანის სატრანსპორტო სქემა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ინსინერაციის მიზნით შემოტანილი არასახიფათო ნარჩენები, თავდაპირველად, დროებით განთავსდება სასაწყობე უბნებზე, რომლებიც მოწყობა არსებულ შენობაში. ამავე შენობაშია გათვალისწინებული მალფუჭებადი პროდუქტებისთვის მაცივრის განთავსება. სასაწყობე უბანზე ძირითადად განთავსდება არასახიფათო ნარჩენები. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, მათი დროებითი დასაწყობება გათვალისწინებულია ინსინერატორისთვის მოწყობილ შენობაში.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ვინაიდან მომავალში შესაძლებელია ქსელის გაფართოება და მოსალოდნელი ნარჩენების მატება, შპს „ნიკორას“ მიერ შერჩეულ იქნა 250 კვ/სთ წარმადობის კომპანია „იჟტელის“ - IZHTEL-1000 მოდელის ინსინერატორი, რომელიც განკუთვნილია სამრეწველო, სამედიცინო, ბიოლოგიური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მაღალტემპერატურული განადგურებისთვის. ინსინერატორი იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღეში 16 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 3 ადამიანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მაქსიმალური დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, ინსინერატორში შესაძლებელია დღეში 4000 კგ, ხოლო წელიწადში 1460000 კგ (1460 ტ) სამედიცინო ნარჩენის ინსინერაცია. დანადგარი იმუშავებს ბუნებრივ აირზე.

ინსინერატორში მოხდება როგორც მყარი, ასევე თხევადი ნარჩენების ინსინერაცია. მყარი ნარჩენების ინსინერატორში განთავსება გათვალისწინებულია ჩასატვირთი ხუფის საშუალებით, ხოლო თხევადი ნარჩენები ინსინერატორს მიეწოდება ჩასატვირთი ავზიდან, მილგაყვანილობის საშუალებით. ინსინერატორში წვის ტემპერატურა შეადგენს 800 – 1200°C-ს, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების სრულ განადგურებას. საპროექტო ინსინერატორის შემადგენლობაში შედის: ძირითადი კამერა (პირველი კამერა), კმაწვის

კამერა (დამატებითი წვის კამერა), ძირითადი კამერის სანთურა, კმაწვის (დამატებითი წვის) კამერის სანთურა, კმაწვის (დამატებითი წვის) კამერის ლუქი, საწვავის მიმწოდებელი მილი (ამ შემთხვევაში ბუნებრივი აირის), 2 ერთეული თერმოწყვილი, ჰაერის შემბერი ვენტილატორი, მართვის პანელი, ძირითადი კამერის ხუფი (სახურავი), ჯალამბარი, ძირითადი კამერის სანაცრე და საკვამლე მილი.

ინსინერატორის ორივე (ძირითადი და დამატებითი წვის) კამერა ამოგებული იქნება 12 სმ სისქის, ცეცხლგამძლე აგურით, რომელიც გარე მხრიდან 10 მმ სისქის ცეცხლმედეგი ფილით იქნება დაცული, რაც უზრუნველყოფს ფილასა და აგურის კედელს შორის ტემპერატურის შენარჩუნებას და საწვავის (ბუნებრივი აირის) ხარჯის შემცირებას. ძირითადი კამერის ხუფი შიდა მხრიდან ამოგებული იქნება თერმომედეგი, კერამიკული მინის ბოჭკოსგან დამზადებული თერმობლოკით, რომელიც უძლებს 1650°C-მდე ტემპერატურას. ინსინერატორის გარე კორპუსისთვის, ძირითადი წვის კამერის და დამატებითი წვის კამერების სამუშაო ზონებთან გამოყენებულია 10 მმ სისქის ცეცხლგამძლე ფოლადი, ხოლო კორპუსის დანარჩენი დეტალებისთვის გამოყენებულია არანაკლებ 6 მმ სისქის ფოლადი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ადგილი ექნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. ვინაიდან, საწარმოში დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 3 ადამიანია, წლის განმავლობაში, მათ მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით 547.5 კგ იქნება. მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერში და დაგროვების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გატანილი იქნება შესაბამის ნაგავსაყრელზე. რაც შეეხება ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილ ნაცარს (ფერფლს), აღნიშნული შესაძლებელია იყოს როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ნარჩენის ინსინერაცია განხორციელდება. ინსინერატორის საპროექტო სიმძლავრის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში, საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 73 ტ ნაცარი (ფერფლი). საიდანაც დაახლოებით 95% (69.35 ტ/წელ) იქნება კვების პროდუქტების ინსინერაციის შედეგად მიღებული არასახიფათო ნაცარი, ხოლო 5% (3.65 ტ/წელ) სახიფათო ნარჩენი. ღუმელიდან ამოღებული გაცივებული ფერფლი ჯერ განთავსდება პოლიეთილენის ტომრებში, ხოლო შემდეგ, 100 ან/და 200 ლიტრი მოცულობის, სპეციალურ ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რომელიც დროებით განთავსდება არსებული შენობის საწყობში, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. საწარმოში, ცალ-ცალკე მოხდება კვების პროდუქტების და სხვა სახის ნარჩენების ინსინერაცია, შესაბამისად ცალ-ცალკე დასაწყობდება ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი. საკვები პროდუქტების ინსინერაციის შემდეგ მიღებული ფერფლი დაკლასიფიცირდება როგორც არასახიფათო ნარჩენი (10 01 15), ხოლო დანარჩენი ნარჩენების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი, მისი შემადგენლობის დადგენამდე განხილული იქნება როგორც სახიფათო ნარჩენი (10 01 14*). ნაცრის სახიფათობის დადგენის მიზნით, ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე, ნაცარს პერიოდულად ჩაუტარდება ანალიზი. ლაბორატორიული ანალიზის შედეგების მიხედვით, თუ ნაცარში ტოქსიკური ელემენტების შემცველობა არ დაფიქსირდება, მისი მართვა მოხდება როგორც არასახიფათო ნარჩენის და განთავსებული

იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. ხოლო, თუ ნაწრის გამოკვლევის შედეგად დაფიქსირდა ტოქსიკური ელემენტების მაღალი შემცველობა, აღნიშნული ნაწარი, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტაციის თანახმად, ფერფლის (ნაწრის) ტერიტორიიდან გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, არაუგვიანეს ერთი წლისა. საწარმოში მოსალოდნელია სხვა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, მაგალითად ფლურესცენციული მილები (20 01 21*), რომელთა რაოდენობაც წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 2-3 კგ-ს. ნათურების ნარჩენები განთავსდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. რაც შეეხება სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებულ საწმენდ ნაჭრებსა და დამცავ ტანსაცმელს (15 02 02*), მათი შეგროვება მოხდება თავდახურულ ლითონის ან/და პლასტმასის კონტეინერში, ხოლო მათი დაწვა მოხდება ამავე საწარმოში განთავსებულ ინსინერატორში. ინსინერატორის შენობის ფსკერი მობეტონებული იქნება, შესაბამისად ინსინერაციის ოთახის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარევი წყალი (19 01 06*) შეიკრიბება იმავე ტერიტორიაზე განთავსებულ თავდახურულ ჭურჭელში და გაუვნებლდება საწარმოში არსებულ ინსინერატორში, თხევადი ნარჩენის სახით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნით (მათ შორის სათავსის დასუფთავების დროს). როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, სველი წერტილებით და შიდა საკანალიზაციო ქსელით. საწარმოში წლის განმავლობაში მოსალოდნელია 46.5 მ³ წყლის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ტექნოლოგიური პროცესები წყლის გამოყენებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. სასაწყობო შენობაში დროებით განთავსდება არასახიფათო ნარჩენები, ასევე სახიფათო ნარჩენების პარტიები, რომელთა შეფუთვა არ არის დაზიანებული და მათი დაღვრის და დაბნევის რისკები არ არსებობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწყობის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. საწარმოში ასევე მოსალოდნელია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ჩამდინარე წყლები შეგროვდება საწარმოს მიმდებარედ არსებულ 3 მ³ მოცულობის სეპტიკურ ჭაში (დიამეტრი დაახლოებით 1 მ, სიღრმე აღემატება 3 მ-ს). სეპტიკური ჭა ამჟამად უმოქმედო მდგომარეობაშია, თუმცა დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც მოიცავს მის გაწმენდას, ძირის ჰერმეტიზაციას და სახურავის მოწყობას. სეპტიკურ ჭაში შეკრებილი წყალი პერიოდულად გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანით, შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ინსინერატორის განთავსება დაგეგმილია არსებულ ერთსართულიან შენობაში, რომელსაც გაუკეთდება 35 მ² ფართობის მიშენება. ვინაიდან დაგეგმილია მცირე მოცულობის და მოკლევადიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს ინსინერატორი, საიდანაც ნარჩენების წვის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა

შემდეგი მავნე ნივთიერებები: კადმიუმი, სპილენძი, ნიკელი, ვერცხლისწყალი, ტყვია, ქრომი, აზოტის დიოქსიდი, დარიშხანი, ნახშირბადის ოქსიდი, შეწონილი ნაწილაკები. გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების, მათ შორის, ჯამური ზემოქმედების უნარის მქონე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად. გზშ-ის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მოწყობის ეტაპი მოკლევადიანია, შესაბამისად, მაღალი დონის ხმაურის წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ინსინერატორი, რომელიც განთავსებული იქნება შენობა-ნაგებობაში. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დანადგარი ხასიათდება მინიმალური ხმაურით. მისი ჰაერის კომპრესორები აღჭურვილია ხმაურდამცავი ლითონის ფურცლებით. ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, ინსინერატორის ფუნქციონირების პროცესში შენობის გარეთ ხმაურის დონე 65 დბ-ს არ გადააჭარბებს. ხმაურის გავრცელების საანგარიშო წერტილად განისაზღვრა უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საწარმოდან დაცილებულია დაახლოებით 656 მ მანძილით. აღნიშნულ წერტილში ხმაურის გავრცელების დონემ შეადგინა 11 დბ-ს. აღნიშნულის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დანადგარი განთავსებული იქნება დახურულ სივრცეში, მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების რისკი დაბალია.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია გათვალისწინებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. მშენებლობის ეტაპზე არ არის გათვალისწინებული დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების ჩატარება. ნაკვეთის ის ნაწილი, სადაც გათვალისწინებულია არსებული შენობის გაფართოება დაფარულია ბალახით და მაცვლის ბუჩქებით, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრე არ აღემატება 10-15 სმ-ს. ვინაიდან, მიშენების ფართობი არ აღემატება 35 მ²-ს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არაუმეტეს 50 მ² ფართობზე. შესაბამისად მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობა იქნება 7.5 მ³. სამუშაოების დაწყებამდე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მოხდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განთავსდება მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდგომში რეკულტივაციისთვის გამოყენების მიზნით. ინსინერატორი განთავსდება შენობა-ნაგებობაში და ინსინერაციის პროცესი მიმდინარეობს გარემოსგან იზოლირებულად, შესაბამისად ნარჩენების ინსინერატორში ჩატვირთვის პროცესიც ასევე არ შეიცავს გრუნტის და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და

ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე, ცენტრის ფეისბუქზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 25 ივლისს, 12:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებლები - შპს „ნიკორას“ და სს „ნიკორას“, საკონსულტაციო კომპანიის შპს „გამა კონსალტინგის“ და გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და გამგეობის წარმომადგენლის მხრიდან დასმული კითხვები ეხებოდა საწარმოდან სუნის გავრცელების საშიშროებას, რაც გამომდინარეობდა სოფ. გამარჯვებაში უკვე არსებული საწარმოების მხრიდან შექმნილ მდგომარეობაზე, რასთან დაკავშირებითაც საკონსულტაციო კომპანიის შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შპს „ნიკორას“ საწარმოდან უახლოეს მოსახლესთან სუნის გავრცელება არ არის მოსალოდნელი, ხოლო სხვა საწარმო ობიექტების საქმიანობა მათ პასუხისმგებლობას სცდება. დამსწრე პირები ასევე დაინტერესდნენ ინსინერაციის შედეგად წარმოქნილი ნაცრის (ფერფლის), მათ შორის ალუმინის კოლოფებში დაკონსერვებული ნარჩენების წვის შედეგად მოსალოდნელი ფერადი ლითონის ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხებით, რაზეც შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ წვის შედეგად მიღებული ნაცარი (ფერფლი) დაფასოვდება ჰერმეტიკულად დახურულ პოლიეთილენის ჭურჭელში და შემდგომ განთავსდება კონტეინერში, რომელიც დროებით დასაწყობდება უშუალოდ საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. გამგეობის წარმომადგენელი ასევე შეეხო იმ ფაქტს, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად ხდება სოფ. გამარჯვების ტერიტორიის სამრეწველო ობიექტების მიერ ათვისება, რის გამოც დაინტერესდა რატომ მოხდა აღნიშნული სოფლის შერჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის შერჩევასაც მოხდა ისეთი ალტერნატიული ვარიანტის განხილვა, რომელზეც საწარმოს განთავსებასაც ექნებოდა ნაკლები ზემოქმედება, როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ შერჩეული ტერიტორია მდებარეობს შპს „ნიკორას“ ობიექტების სიახლოვეს, რაც ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას მნიშვნელოვნად შეამცირებდა, შესაბამისად უპირატესობა მიენიჭა სოფ. გამარჯვებაში არსებულ, შერჩეულ მიწის ნაკვეთს. საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებები, კითხვები და შესაბამისი განმარტებები/პასუხები ასახულია გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის და I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ნიკორას“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ნიკორამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ნიკორამ“ უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპზე სააგენტოსთან შეთანხმებულ „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ნიკორამ“ საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მონიტორინგთან ერთად, დამატებით გათვალისწინებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ტერიტორიის საზღვარის პერიმეტრზე, ასევე ინსინერატორის საკვამლე მილში ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილებისა და სიხშირის მითითებით). ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
6. შპს „ნიკორამ“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ვინაიდან, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით განსაზღვრული ნარჩენების (კოდები: 15 01 02; 15 01 04) ინსინერაცია მიზანშეწონილი არ არის, ნარჩენების მართვის გეგმაში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული ნარჩენების რეციკლირების საკითხი, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
7. შპს „ნიკორამ“ ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) შემადგენლობაზე მონიტორინგი, წელიწადში ორჯერ, ხოლო შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად

წარმოდგენა. ანალიზის შედეგების საფუძველზე მოახდინოს ნარჩენების კლასიფიცირება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მიღებული შედეგების მიხედვით განსაზღვროს წარმოქმნილი ნარჩენების (ნაცარი (ფერფლი) და სხვა) შემდგომი მართვის საკითხები;

8. შპს „ნიკორამ“ ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) ზუსტი შემადგენლობის დადგენამდე, ასევე სახიფათო ნარჩენად კლასიფიცირების შემთხვევაში, უზრუნველყოს აღნიშნული ნარჩენების უსაფრთხო დასაწყობება დროებითი შენახვის ობიექტზე „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;
9. შპს „ნიკორამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. შპს „ნიკორამ“ საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
11. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიკორას“;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიკორას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
14. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო